საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/62

ქ. ბათუმი 13 ივნისი, 2022 წ.

,,ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 01 ივნისის №01-10/53 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 13 ივნისის MES 8 22 0000634213 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 01 ივნისის №01-10/53 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

,,3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2022 წლის 02 ივნისიდან 08 ივნისის ჩათვლით;

ბ) 2022 წლის 08 ივნისის ჩათვლით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარვეზის აღმოფხვრა (დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა) – 2022 წლის 9 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

გ) წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიის მიერ განხილვა - 2022 წლის 16 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით.

დ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსში (ბათუმი, რუსთაველის ქ. N32) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან) და ბსუ-ს ვებგვერდზე - არაუგვიანეს 2022 წლის 23 ივნისისა;

ე) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა -არაუგვიანეს 2022 წლის 24 ივნისისა.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში ,,სწავლა" და ,,კონკურსები") და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**